თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7702254

ნომერი: AR11115499

თარიღი : 05.11.2025

გაცემის თარიღი : 13.11.2025

გაცნობის თარიღი : 14.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის III მკ.რ. , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ხოჯავა პ/ნ 01031005348
- თბილისი ირაკლი გამრეკელის 35ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 05 ნოემბერს №AR11115499 განცხადებით მომართა სოფიო ხოჯავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 26

სექტემბრის №7644930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებით, №01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686345 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 39240.8 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 5951.45 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 10101.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 8307.17 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 356.81 კვ.მ., საერთო ფართობად - 79842.95 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებით შეთანხმებული მეორე ბლოკის -6.00, +0.00 - +56.10 ნიშნულებისა და მესამე ბლოკის +0.00, +6.60, +13.20, +16.50, +26.40 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს №AR11113550 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშრებით და საცხოვრებელ ფართობად 39240.8 კვ.მ-ის ნაცვლად 39240.78 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 10101.30 კვ.მ-ის ნაცვლად 10101.25 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 5951.45 კვ.მ-ის ნაცვლად 5949.02 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 79905.82 კვ.მ-ის ნაცვლად 79840.52 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლები და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლები, არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 39240.78 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 10101.25 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 5949.02 კვ.მ., საერთო ფართობად 79840.52 კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანებით შეთანხმებული მესამე ბლოკის +6.60 და +26.40 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის №7644930 და 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686345 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.